ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8052429

ნომერი: AR11156929

თარიღი : 15.08.2026

გაცემის თარიღი : 21.08.2026

გაცნობის თარიღი : 21.08.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, N 40;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზვიად ნოზაძე პ/ნ 01006002981
- თბილისი დიღმის მას. I კვ. კორ. 13 ბ. 55

ორგანიზაცია:
- ინნდეველოპმენტ+ კოდი: 405551353

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 15 აგვისტოს №AR11156929 განცხადებით მომართა ზვიად ნოზაძემ და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 22 ივნისის №7972010 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 22 ივნისის №7972010 ბრძანებით შეთანხმდა №01.10.07.007.175 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ოფისის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2026 წლის 22 ივნისიდან 2028 წლის 22 ივნისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 22 ივნისის №7972010 ბრძანებით შეთანხმებულ კონსტრუქციულ პროექტს აქვს ხარვეზები სპეციფიკაციის ნაწილში. შესაბამისად ითხოვს წარმოდგენილი კონსტრუქციული პროექტის ჩანაცვლებას.

განგიმარტავთ, რომ კონსტრუქციული პროექტის ჩანაცვლება არ წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას. სამსახურის 2026 წლის 22 ივნისის №7972010 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ცვლილება საჭიროებს სამსახურის 2026 წლის 22 ივნისის №7972010 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის ცვლილებას (კორექტირებას) და შესაბამისი (მათ შორის შესათანხმებელი არქიტექტურული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო შეფასების) საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2026 წლის 22 ივნისის №7972010 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.